CENTRAL PARK TOWERS

რეგიონში პირველი ინტეგრირებული რეზორტი

თბილისი, ყაზბეგის გამზ. 22

CENTRAL PARK TOWERS


7
პროექტის შესახებ

9
საინვესტიციო შესაძლებლობები

35
კეთილმოწყობა

55
დეველოპერები

61
საქართველოს შესახებ


პროექტის იდეის ავტორები


Radisson





# ცენტრალ პარკ თაუერსი

პირველი ინტეგრირებული რეზორტი, რომელსაც რეგიონი განვითარების ახალ ეტაპზე გადაჰყავს

**2026 წლის გაზაფხულზე ცენტრალ პარკ თაუერსი (CPT) - რეგიონში პირველი ინტეგრირებული რეზორტი გაიხსნება.** 500 მილიონი დოლარის ღირებულების გრანდიოზული პროექტი თბილისის გულში 140,000 კვადრატულ მეტრზე განთავსებულ 1,200 სასტუმრო ოთახსა და მრავალფეროვან ინფრასტრუქტურას აერთიანებს, რომელიც მოიცავს: მსოფლიო კლასის სტუმარმასპინძლობას, მაღალი დონის გასტრონომიას, მრავალფეროვან გართობას, პრემიუმ კლასის შოპინგსა და უნიკალურ არქიტექტურას.

# ᲞᲠᲔᲛᲘᲣᲛ ᲡᲐᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲝ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ

მსოფლიოს საუკეთესო სასტუმროების ოპერატორებთან ერთად შემუშავებული საინვესტიციო პორტფელი

ცენტრალ პარკ თაუერსი გთავაზობთ საქართველოს მზარდი უძრავი ქონებისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში შესვლის გამორჩეულ საშუალებას. მსურველებს შეუძლიათ, შეიძინონ პრემიუმ კლასის ბრენდირებული სასტუმროს ნომრები, რომლებსაც მსოფლიოს წამყვანი ოპერატორები მართავენ. შეთავაზება მორგებულია როგორც გარანტირებულ შემოსავალზე, ასევე მაღალი მოგების პროგნოზებზე.

A ბლოკში Radisson Blu-სა და B ბლოკში მსოფლიო კლასის სასტუმროსა და გართობის ოპერატორთან ერთად CPT წარმოადგენს იშვიათ შესაძლებლობას, შეიძინოთ რეგიონში პირველი ინტეგრირებული რეზორტის სასტუმროს ნომერი. მიუხედავად იმისა, გარანტირებულ უკუგებას ეძებთ, თუ ამბიციურ ზრდას, CPT გთავაზობთ თქვენზე მორგებულ საინვესტიციო პროდუქტებს.





ᲗᲐᲣᲔᲠᲘ A

# RADISSON BLU-Ს ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ:
$40,000 I 40-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲘ

ცენტრალ პარკ თაუერსი გთავაზობთ იშვიათ შანსს, შეაღოთ კარი საერთაშორისო სტუმარმასპინძლობის საინვესტიციო სამყაროში - გახდეთ ბრენდირებული სასტუმროს ნომრის მფლობელი დედაქალაქის გულში, რაც მოიცავს:

- სასტუმროს აპარტამენტები თქვენს საკუთრებაში
- სასტუმროს ნომერი Radisson Blu-ში მხოლოდ $200,000-ად
- პროგნოზირებული წლიური შემოსავალი - $40,000
- 40-წლიანი საიჯარო ხელშეკრულება Radisson Hotel Group-თან, რომელიც მოიცავს სრულ მართვას

სართულის გეგმა

ცენტრალ პარკ თაუერსი



რადისონ ბლუ

ტიპური 18 ოთახიანი სართული

# თაუერ A

ცენტრალ პარკ თაუერსის სასტუმრო დაპროექტებულია ერგონომიული განლაგებით - სტუმრების მაქსიმალური კომფორტის გათვალისწინებით. თითოეული სართული მოიცავს ოპტიმალურად განთავსებულ სასტუმრო ოთახებს ცენტრალური დერეფნით.

- **ოთახების კონფიგურაცია:** ტიპური სართული მოიცავს 18 სასტუმრო ოთახს, რომელიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ზომითა და გეგმარებით.
- **მობილური ცირკულაცია:** ცენტრალური დერეფანი უზრუნველყოფს სტუმრების ეფექტურ გადაადგილებასა და პერსონალისთვის ოპერაციულ მოხერხებულობას.
- **ეფექტური დიზაინი:** ყველა ოთახი მაქსიმალურად ითვისებს მზის ბუნებრივ განათებას, ხოლო მათი ტერასებიდან ცენტრალ პარკისა და თბილისის არაჩვეულებრივი პანორამული ხედები იშლება.
- **ვერტიკალური ბმა:** ლიფტები და მომსახურების შახტები სტრატეგიულად არის განლაგებული, რათა უზრუნველყოს შეუფერხებელი წვდომა სასტუმროს ყველა კეთილმოწყობაზე, მათ შორის სპაზე, აუზებზე, რესტორნებზე, კაზინოსა და საკონცერტო დარბაზზე.








შეთავაზება 1

თაუერ B

# სასტუმროს ნომრები

მსოფლიოს წამყვანი პრემიუმ კლასის სტუმარმასპინძლობისა და გასართობი ბიზნესის კომპანიის მმართველობაში

გარანტირებული წლიური შემოსავალი: $25,000 15 წლის განმავლობაში

- სასტუმროს ნომერი საკუთრებაში
- ღირებულება - $250,000-დან
- გარანტირებული ყოველწლიური შემოსავალი - $25,000 15 წლის განმავლობაში
- გარატირებული ჯამური შემოსავალი - $375,000 15 წლის განმავლობაში
- შემოსავალი მიიღება კვარტალურად (წელიწადში 4-ჯერ)
- 15 წლის შემდეგ პროგნოზირებული ყოველწლიური შემოსავალი - $60,000
- საერთაშორისო ოპერატორი უზრუნველყოფს ხარისხსა და შემოსავალს





შეთავაზება 2

### თაუერ B

# სასტუმროს ნომრები

## მსოფლიოს წამყვანი პრემიუმ კლასის სტუმარმასპინძლობისა და გასართობი ბიზნესის კომპანიის მმართველობაში

**პროგნოზირებული შემოსავალი: $60,000 წლიურად**
**გარანტირებული მინიმალური შემოსავალი: 6% წლიურად**

გაუმჯობესებული საინვესტიციო მოდელი მათთვის, ვინც უფრო მაღალ უკუგებას ეძებს:

- სასტუმროს ნომერი საკუთრებაში
- ღირებულება - $250,000-დან
- პროგნოზირებული შემოსავალი - $60,000-დან წლიურად
- მინიმალური გარანტირებული მოგება - 6% წლიურად
- 40-წლიანი საოპერაციო კონტრაქტი
- ოპერირებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სასტუმრო და სათამაშო ოპერატორის მიერ



# ᲗᲐᲣᲔᲠ B

თაუერ B-ის ოპერირებას გაუწევს ერთ-ერთი უმსხვილესი და პრესტიჟული სასტუმრო ოპერატორი, საერთაშორისოდ აღიარებული სტუმარმასპინძლობისა და გართობის მიმართულებით.

- **ოთახების კონფიგურაცია:** სართული მოიცავს პრემიუმ კლასის სასტუმროს 22 ნომერს, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს.
- **მობილური ცირკულაცია:** ცენტრალური დერეფანი უზრუნველყოფს მოქნილ და ეფექტურ მოძრაობას როგორც სტუმრებისთვის, ასევე საოპერაციო პერსონალისთვის.
- **ეფექტური დიზაინი:** ყველა ოთახი მაქსიმალურად ითვისებს მზის ბუნებრივ განათებას, ხოლო მათი ტერასებიდან ცენტრალ პარკისა და თბილისის არაჩვეულებრივი პანორამული ხედები იშლება.
- **ვერტიკალური ბმა:** ლიფტები და მომსახურების შახტები ჭკვიანურადაა ინტეგრირებული, რათა სტუმრებს ჰქონდეთ მოხერხებული წვდომა თაუერის პრემიუმ ინფრასტრუქტურის სრულ სპექტრზე, მათ შორის სპაზე, აუზზე, რესტორნებსა და მსოფლიო კლასის სათამაშო დაწესებულებებზე.

სართულის გეგმა

ცენტრალ პარკ თაუერსი



საერთაშორისოდ აღიარებული სტუმართმასპინძლობისა და გართობის ლიდერი ოპერატორი

ტიპური 22 ოთახიანი სართული










# ინფრასტრუქტურა

შეუდარებელი კომფორტი მაღალი კლასის ცხოვრებისთვის

ცენტრალ პარკ თაუერსი არის გაცილებით მეტი, ვიდრე უძრავი ქონება. ის გთავაზობთ პრემიუმ კლასის ინფრასტრუქტურას: მსოფლიო დონის სათამაშო სივრცეს, რომელსაც მართავს საერთაშორისო სტუმარმასპინძლობისა და გასართობი ბიზნესის ლიდერი ოპერატორი; რეგიონის უმსხვილეს, მრავალფუნქციურ ივენთ ჰოლს; მსოფლიოს საუკეთესო რესტორნებსა და კაფეებს; ასევე, პრემიუმ სპა და ველნეს ცენტრებს; ღია და დახურულ საცურაო აუზებს. ცენტრალ პარკ თაუერსში წარმოდგენილია პრემიუმ კლასის სავაჭრო ცენტრი - Harvey Nichols და სხვა საერთაშორისო ბრენდები.

არ აქვს მნიშვნელობა, გართობა გსურთ, საინტერესო ღონისძიებაზე დასწრება, დახვეწილი სამზარეულოს გასინჯვა თუ სპაში დასვენება, ცენტრალ პარკ თაუერსში პრემიუმ კლასის ცხოვრებისთვის ყველა სურვილს აიხდენთ.

## გართობა

# კაზინო

### მსოფლიოს წამყვანი პრემიუმ კლასის სტუმარმასპინძლობისა და გასართობი ბიზნესის კომპანიის მართველობაში

ცენტრალ პარკ თაუერსი უმასპინძლებს რეგიონში ყველაზე დიდ და პრესტიჟულ კაზინოს, რომელსაც უხელმძღვანელებს საერთაშორისოდ აღიარებული გასართობი და ინტეგრირებული რეზორტების სფეროში ფართოდ გამოცდილი სტუმარმასპინძლობის ჯგუფი. კაზინო მომხმარებელს შესთავაზებს ელიტურ სათამაშო გამოცდილებას უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი დაწესებულებებით, პრემიუმ მომსახურებითა და დახვეწილი ატმოსფეროთი, რომელიც მორგებულია საერთაშორისო მომხმარებელზე.

სტუმრები მსოფლიოში უმაღლესი დონის გართობის ყველა სერვისს მიიღებენ. VIP ლაუნჯების, ექსკლუზიური წვდომის მქონე დახვეწილი გასტრონომიული სივრცეებისა და მრავალფეროვანი ღამის ცხოვრების ცოცხალი ნაზავი კაზინოს ცენტრალ პარკ თაუერსის ინტეგრირებული ცხოვრების მნიშვნელოვან საყრდენად აქცევს.







# ᲘᲕᲔᲜᲗ ᲰᲝᲚᲘ

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲔᲜᲗ ᲰᲝᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ

ცენტრალ პარკ თაუერსში განთავსდება საქართველოს ყველაზე ვრცელი და მრავალპროფილური ივენთ ჰოლი, რომელიც დაპროექტებულია 5,000-ზე მეტი სტუმრის მისაღებად. ეს მულტიფუნქციური სივრცე შექმნილია მსოფლიო კლასის ღონისძიებებისთვის, საერთაშორისო კონფერენციებიდან და კორპორატიული სამიტებიდან დაწყებული, პრემიუმ კლასის ბრენდების პრეზენტაციებით, საზეიმო ვახშმებით, მოდის ჩვენებებითა და კონცერტებით დამთავრებული.

# საცალო ვაჭრობა

HARVEY
NICHOLS

## პრემიუმ კლასის შოპინგ ცენტრი

Harvey Nichols - სახელგანთქმული ბრიტანული შოპინგ ცენტრი, დაარსებული 1831 წელს, ცნობილია თავისი დახვეწილი პრემიუმ კლასის მოდისა და სილამაზის პროდუქტების არჩევანით. მაღაზიის გამორჩეული სტატუსი და შოპინგისადმი დახვეწილი მიდგომა Harvey Nichols-ს ცენტრალ პარკ თაუერსის პრემიუმ კლასის ცხოვრების სტილის იდეალურ პარტნიორად აქცევს.









# დახვეწილი სამზარეულო

beefbar
Born in Monte-Carlo

## მონაკოს კულინარიული კულტურის მემკვიდრეობა

მონაკოში წარმოშობილი Beefbar ხორცის მოყვარულთათვის მთელ მსოფლიოში პრემიალური დანიშნულების ადგილი გახდა, რომელიც გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის ხორცის კერძებს გემოვნებიან, მაღალი დონის გარემოში. ისეთ დიდ ქალაქებში, როგორებიცაა პარიზი და მილანი, Beefbar ცნობილია თავისი დახვეწილი ატმოსფეროთი და პრემიუმ კულინარიული შეთავაზებებით.

## დახვეწილი სამზარეულო

**CHOTTO**
**MATTE**

---

### ნიკეის სამზარეულოს პიონერი ურბანული ენერგიითა და სტილით

დაარსებული ლონდონში და ახლა წარმოდგენილი ისეთ ცხელ წერტილებში, როგორებიცაა მაიამი, დოჰა და სან-ფრანცისკო, Chotto Matte ნიკეის სამზარეულოს პიონერი გახლავთ, რომელიც იაპონური დახვეწილობისა და პერუული განწყობის სინთეზს გულისხმობს.

ღია ცეცხლზე მომზადებული კერძებიდან სუშის ოსტატობამდე, იმერსიული ინტერიერითა და DJ-ის მიერ შერჩეული ვიბრაციებით, Chotto Matte აერთიანებს ენერგიულ, სახალისო განწყობასა და პრემიუმ კლასის მომსახურებას.









# დახვეწილი სამზარეულო

Roberto's

## იტალიური სამზარეულოს თანამედროვე ინტერპრეტაცია

Roberto's - ელეგანტური იტალიური რესტორანია, რომელიც ცნობილია კლასიკური ხმელთაშუა ზღვის სამზარეულოთი. დუბაიში და სხვა კოსმოპოლიტურ ქალაქებში დამკვიდრებული რეპუტაციით Roberto's წარმოადგენს დახვეწილ გასტრონომიულ კულტურას ელეგანტურ გარემოში. ცენტრალ პარკ თაუერსში მდებარე Roberto's შემოგვთავაზებს ავთენტურ გემოებსა და შეუდარებელ მომსახურებას.

# დახვეწილი სამზარეულო

## ცოცხალი სამზარეულო ლათინური ემოციებით

RUMBA - კუბით შთაგონებული რესტორანი, რომელიც ცოცხალ სულს გადმოსცემს თავისი დინამიკური ატმოსფეროთი, ტრადიციული სამზარეულოთა და რიტმული მუსიკით. ის არის იდეალური ადგილი სპონტანური შეკრებებისა და სადღესასწაულო მომენტებისთვის.










## ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ

ANGELINA
Paris depuis 1903

### ᲞᲐᲠᲘᲖᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲒᲐᲜᲢᲣᲠᲝᲑᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

პარიზული კაფე Angelina ცნობილია თავისი ექსკლუზიური საკონდიტრო ნაწარმითა და ცხელი შოკოლადით. მისი დახვეწილი ატმოსფერო და მდიდარი მემკვიდრეობა ცენტრალ პარკ თაუერსის კულინარიულ შეთავაზებას იდეალურად ავსებს, რაც თბილისს პარიზულ ელეგანტურობას სძენს.

# დახვეწილი სამზარეულო

PANORAMA

## გამორჩეული ქართული სამზარეულო თანამედროვე ელემენტებით

Panorama-ს ოპერირებას საერთაშორისო სტუმარმასპინძლობის ჯგუფი უზრუნველყოფს, რომელსაც მრავალწლიანი, წარმატებული გამოცდილება აქვს სარესტორნო სფეროში. პანორამული ხედებით შემკული Panorama აერთიანებს გამორჩეულ ქართულ სამზარეულოს, დახვეწილ მომსახურებასა და შთამბეჭდავ დიზაინს.

იქნება ეს ინტიმური სადილი თუ მაღალი პროფილის შეკრება, Panorama იდეალური ადგილია მათთვის, ვინც აფასებს დახვეწილ გემოვნებასა და ატმოსფეროს.





# დეველოპერები ახალი ხედვით

საქართველოს წამყვანი სამშენებლო კომპანიების პროექტი

ცენტრალ პარკ თაუერსის პროექტის ავტორები ORBI ჯგუფი და Block ჯგუფი გახლავთ — საქართველოს ორი ყველაზე გამოცდილი კომპანია უძრავი ქონების, სტუმარმასპინძლობისა და მასშტაბური მშენებლობის სფეროში. ათწლეულების განმავლობაში წარმატებული ოპერირების შედეგად, ისინი ამ ინოვაციური პროექტისთვის ახალი იდეებითა და საერთაშორისო ხედვით ერთიანდებიან.











ORBI
BUILDING DEVELOPMENT

1998 წელს დაარსებული ORBI GROUP გახლავთ წამყვანი დეველოპერი საქართველოსა და ევროპაში, რომელიც ცნობილია 4 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსების წარმატებული მშენებლობით. კომპანიამ ააშენა 40-ზე მეტი პროექტი, მათ შორის მსოფლიოში უდიდესი სასტუმრო კომპლექსი — ORBI CITY ბათუმში, რომელიც ყოველწლიურად 1.5 მილიონ ტურისტს მასპინძლობს. 7,000-ზე მეტი თანამშრომლით ORBI GROUP კვლავ რჩება რეგიონში უძრავი ქონების განვითარების მამოძრავებელ ძალად.











1993 წელს Medimex-ის სახელით დაარსებული BLOCK არის მრავალფეროვანი საინვესტიციო კომპანია მძლავრი პორტფოლიოთი ჯანდაცვის, უძრავი ქონების, ენერგეტიკის, ლოგისტიკისა და სამთო მოპოვების სფეროებში. BLOCK-მა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს უდიდესი კერძო სამედიცინო ჯგუფის შექმნაში, ასევე უძრავი ქონების განვითარებაში საერთაშორისო კორპორაციებთან სტრატეგიული პარტნიორობის ჩათვლით. კომპანიაში 2,000-ზე მეტი პროფესიონალი მუშაობს.

# საქართველო

სტრატეგიული მდებარეობა, მზარდი ეკონომიკა
და გლობალური კავშირები

კონტრასტებისა და სწრაფი ტრანსფორმაციის ქვეყანა - საქართველო რეგიონში ინვესტირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო პლატფორმად ყალიბდება. ეს არის ევროპასა და აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყანა, სადაც უძველესი კულტურა თანამედროვე ამბიციებს ხვდება და სადაც გლობალური ბრენდები თუ ინვესტორები თავიანთ ახალ შესაძლებლობებს ქმნიან.

აქტიური ტურიზმიდან და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკიდან დაწყებული, ევროკავშირის კანდიდატობისა და სწრაფად განვითარებადი ინფრასტრუქტურით დამთავრებული — საქართველო მხოლოდ ქვეყანა არ არის, ის მომავალია.

# საქართველო

## ზრდისა და შესაძლებლობების არაჩვეულებრივი შანსი

- მსოფლიოში უმაღლესი წლიური ზრდა თითქმის 10%-იანი მაჩვენებლით
- საქართველოში უვიზოდ შესვლა 100-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ
- ბიზნესის კეთების სიმარტივით ტოპ ათეულში (მსოფლიო ბანკი)
- მიმზიდველი საგადასახადო სისტემა მხოლოდ 6 ფიქსირებული გადასახადით
- სტაბილური ვალუტა და დაბალი ინფლაციის გარემო
- სწრაფად მზარდი ტურიზმისა და უძრავი ქონების სექტორები
- ევროკავშირის წევრობის კანდიდატი
- ბინადრობის ნებართვა უძრავი ქონების შეძენისას

ევროპისა და აზიის გასაყარზე სტრატეგიულად მდებარე საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და სწრაფად მზარდ ეკონომიკად ჩამოყალიბდა. ბიზნესზე ორიენტირებული პოლიტიკური გარემოთი, ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკითა და სტრატეგიული პარტნიორობით საქართველო საერთაშორისო ინვესტორებისა და პრემიუმ კლასის ბრენდების მოზიდვას განაგრძობს.



# თბილისი

მზარდი დედაქალაქი
ევროპისა და აზიის გასაყარზე

თბილისი არის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი დანიშნულების ადგილი, სადაც ისტორია ხვდება თანამედროვეობას და ტრადიცია ერწყმის ინოვაციას. პროგრესირებადი ეკონომიკით, აყვავებული ტურიზმითა და მსოფლიო კლასის სტუმარმასპინძლობით საქართველოს დედაქალაქი იზიდავს როგორც საერთაშორისო ბრენდებს, ასევე ინვესტორებსა და მოგზაურებს.

ხელსაყრელი ბიზნეს-კლიმატის, პირდაპირი საერთაშორისო კავშირებისა და ცოცხალი ცხოვრების სტილის შეთავაზებით თბილისი კავკასიაში გამოირჩევა, როგორც შესაძლებლობების კარიბჭე.











# ზაფხული

## ზღვისპირა ცხოვრების სტილი და სამთო თავგადასავლები

მზით გაჯერებული სანაპიროებისა და მაღალმთიანი რეგიონების წყალობით საქართველო სტუმრებს იდეალურ საზაფხულო გარემოს სთავაზობს. ბათუმი გახლავთ აქტიური ზღვისპირა ქალაქი ღამის ცხოვრებით, თანამედროვე არქიტექტურითა და პრემიუმ ხარისხის რეზორტებით. გრილი თავგადასავლებისთვის კი, კავკასიონის მთები გთავაზობთ სუნთქვისშემკვრელ ხედებს, ჩანჩქერებსა და ალპურ სოფლებს. იქნება ეს კულტურა, სამზარეულო თუ ბუნება — ზაფხულში საქართველოს ყველაფერი აქვს.

ალაზნის ველი კახეთში

# გაზაფხული/შემოდგომა

## კულტურა, ღვინო, ბუნება - მთელი წლის განმავლობაში

მდიდარი ვენახებიდან ისტორიულ ქალაქებამდე — საქართველოს გაზაფხული და შემოდგომა მდიდარია ფერებით, ფესტივალებითა და კულტურული აღმოჩენებით.
საქართველოს ღვინის რეგიონი, კახეთი არის აქტივობის ცენტრი მაშინ, როცა თბილისი გთავაზობთ ხელოვნების ფესტივალებს, ღია ცის ქვეშ ბაზრებსა და ქალაქის აყვავებულ პარკებს. ეს არის იდეალური სეზონი როგორც ქვეყნის მემკვიდრეობის შესასწავლად, ისე მისი ცნობილი ღვინოების გასასინჯად იმ მიწაზე, სადაც მეღვინეობა იშვა.





# ზამთარი

## სათხილამურო სეზონი მთელი ზამთრის განმავლობაში

საქართველოს სათხილამურო კურორტები, როგორებიცაა გუდაური, ბაკურიანი და თეთნულდი, გთავაზობთ მსოფლიო კლასის ფერდობებს, ფხვიერ თოვლსა და თხილამურებით სრიალის შემდგომი გართობის მრავალფეროვან გამოცდილებას (აპრე-სკი). ზამთრის ტურიზმი აყვავებულია როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მნახველებით, რომლებიც კავკასიაში თოვლის თავგადასავლებს ეძებენ. სათხილამურო კურორტები თბილისთან ახლოს, სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს.





CENTRAL
PARK
TOWERS

+995 555 31 00 00
info@cpt.ge | www.cpt.ge
თბილისი, ალ. ყაზბეგის 22

ORBI BUILDING DEVELOPMENT

BLOCK

პროექტის იდეის ავტორები

+995 555 31 00 00

info@cpt.ge

CENTRAL
PARK
TOWERS

www.cpt.ge

თბილისი, ყაზბეგის გამზ. 22